



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**წიალის ეროვნული სააგენტო**



KA020165428662919

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ფაქსი: +995 32 243 95 02

**ბრძანება № 1490/ს**

06 / დეკემბერი / 2019 წ.

**სასარგებლო წიალისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ**

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ 2017 წლის 7 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 და მე-19 მუხლების, „სასარგებლო წიალისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილების, „სასარგებლო წიალისეულის სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 1 მაისის №2 ბრძანების და სასარგებლო წიალისეულის მართვის დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 19 ნოემბრის N2614 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :**

1. დამტკიცდეს აუქციონის ჩატარებისათვის გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია დანართი №1-ის შესაბამისად;
2. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი სასარგებლო წიალისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ამ ბრძანებით დამტკიცებული დანართი №1-ის შესაბამისად;
3. ელექტრონული აუქციონი ჩატარდეს ინტერნეტგვერდის – [www.eauction.ge](http://www.eauction.ge)-ს მეშვეობით;
4. ბიჯის სიდიდე განისაზღვროს საწყისი ფასის 10 %-ის ოდენობით;
5. აუქციონის ჩატარება ეთხოვოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - მომსახურების სააგენტოს;
6. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის დასრულებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში შესაბამის ანგარიშზე ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით შეიტანოს ის ფულადი თანხა, რომელიც შეესატყვისება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო/შემოთავაზებულ ფასს;
7. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა, №2.).

სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/  
შტამგადასმულია  
ელექტრონულად

მაია ზავრაშვილი